,,დამტკიცებულია''
საქართველოს თავდაცვის მინისტრის

2013 წლის ,,29'' ,,-- -- 04---------''

N----358---------- ბრძანებით

უმცროს ოფიცერთა კურსზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი
კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი

ქ. თბილისი ,,-----'' ,,----------'' 20--- წელი

კონტრაქტის მხარეები

• საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდეგ _ ,,სამინისტრო''), წარმოდგენილი - თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი პოლკოვნიკი **ირაკლი ყოლბაიას** სახით,

• (სახელი და გვარი) .....
(შემდეგ _ ,,მოსამსახურე")

დაბადებული: ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

პირადი N ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

რეგისტრირებული მისამართზე: .....
.....
.....

პრეამბულა

მოსამსახურე აცნობიერებს, რომ სამხედრო სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს მისი, როგორც სამხედრო მოსამსახურის, სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე დაექვემდებაროს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს და მხარეები, ვმოქმედებთ რა საკუთარი ნებით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ამ კონტრაქტს.

მუხლი 1. კონტრაქტის საგანი

1.1. მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას:

1.1.1. შეასრულოს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

1.1.2. ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით და პირობებით იმსახუროს სამინისტროს სამხედრო სამსახურში.

1.2. სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას:

1.2.1. სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველყოს სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი სასამსახურო (შრომითი) და სოციალური პირობებით.

მუხლი 2. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი

2.1. კონტრაქტის მოქმედების ვადა შეადგენს მსმენელად ყოფნის პერიოდისა და კურსის დასრულების შემდეგ ოფიცრად 5 (ხუთი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს. კონტრაქტის მოქმედება იწყება მსმენელად ჩარიცხვის დღიდან და ეს თარიღი აღინიშნება კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც ამავდროულად, ითვლება კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად.

2.2. თუ სამხედრო სამსახურის ვადა იწურება საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის ან საგანგებო სიტუაციის დროს, 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის მოქმედება გრძელდება აღნიშნული მდგომარეობის/სიტუაციის დასრულებამდე.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

მოსამსახურეს კონტრაქტის მოქმედების ვადაში მიეცემა შრომის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით და წესით.

მუხლი 4. სამინისტროს ვალდებულებები

4.1 სამინისტრო ვალდებულია:

4.1.1. დაიცვას მოსამსახურის მიმართ კანონმდებლობით და ამ კონტრაქტით დადგენილი პირობები, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები.

4.1.2. გასცეს კანონმდებლობით განსაზღვრული დანამატი თუ სამხედრო მოსამსახურე იმსახურებს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მუხლი 5. მოსამსახურის ვალდებულებები

5.1. მოსამსახურე ვალდებულია:

5.1.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დასახული ამოცანები და განუხრელად დაემორჩილოს ზემდგომი სამხედრო მოსამსახურეების (მეთაურების) და თანამდებობის პირების ბრძანებებსა და განკარგულებებს, ზუსტად და დროულად შეასრულოს ისინი;

5.1.2. მტკიცედ დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მათ შორის სამხედრო ფიცის, ამ კონტრაქტისა და საჯარისო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა;

5.1.3. აიმაღლოს სამხედრო, ტექნიკური და ზოგადი ცოდნის დონე, მტკიცედ დაიცვას და არ გაამჟღავნოს მისთვის განდობილი სახელმწიფო თუ სამხედრო საიდუმლოება;

5.1.4. გაუფრთხილდეს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ სხვა ქონებას, თავის სამხედრო წოდებას, პატივსა და ღირსებას, არ ჩაიდინოს სამხედრო მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება;

5.1.5. ზედმიწევნით დაეუფლოს და მეთაურის ბრძანებით, კანონმდელობის შესაბამისად, გამოიყენოს მინდობილი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა;

5.1.6. სამხედრო სამსახურში მიღებული ცოდნა და გამოცდილება საქართველოს წინააღმდეგ არ გამოიყენოს;

მუხლი 6. კონტრაქტის შეწყვეტა, პასუხისმგებლობის შემთხვევები და ოდენობა

6.1 სამინისტროს ინიციატივით მოსამსახურის წინასწარი ინფორმირების გარეშე მასთან კონტრაქტი ცალმხრივად შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

6.1.1 მოსამსახურეს წარმოეშვა და გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება განთავისუფლდეს სამხედრო სამსახურიდან;

6.1.2 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, რაც წარმოადგენს მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს;

6.1.3 საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის წარმატებით გაუვლელობის შემთხვევაში;

6.1.4 წარმოიშვება კონტრაქტის შეწყვეტის სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძველი;

6.1.5 მოსამსახურე მისი ბრალით გაირიცხა სასწავლებლიდან (მათ შორის, დისციპლინური ან აკადემიური საფუძვლით);

6.1.6 თუ მოსამსახურის მიმართ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ძალაში შევიდა სასამართლოს ისეთი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (ამნისტიის გარდა);

6.1.7 თუ მას დაეკისრება ადმინისტრაციული პატიმრობა ან/და ჩაიდინა წვრილმან ხულიგნობასთან, პროსტიტუციასთან, ცეცხლსასროლ იარაღთან, საბრძოლო მასალასთან ან ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული გადაცდომა;

6.1.8 დისციპლინის ან/და კონტრაქტის სისტემატურად დარღვევა. ამ კონტრაქტისათვის სისტემატურ დარღვევაში იგულისხმება წლის განმავლობაში ერთზე მეტჯერ დარღვევა;

6.1.9 სამსახურში ჩასარიცხად (მისაღებად) მოსამსახურის მიერ (ან მისი ნების შესაბამისად) მონაცემების გაყალბების გამოვლენა.

6.2 თუ მოსამსახურე ვადამდე დაითხოვება სამსახურიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ან/და ამ კონტრაქტის 6.1.1, 6.1.4, 6.1.5, 6.1.6, 6.1.7, 6.1.8, 6.1.9 პუნქტებით განსაზღვრული იმ საფუძვლებით, რომელიც მისი მიზეზით არის გამოწვეული, მას ეკისრება ჯარიმის სახით აუნაზღაუროს ,,სამინისტროს'' შემდეგი თანხები და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური პასუხისმგებლობის გადახდის ვალდებულება.

6.2.1 მსმენელად ყოფნის პერიოდში - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.2.2 კურსის დასრულების შემდეგ, ოფიცრად 5 (ხუთი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის პერიოდში - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

6.3 ,,6.2; 6.2.1 და 6.2.2" პუნქტებით განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობა სამინისტროსთვის (სახელმწიფო ბიუჯეტისათვის) ანაზღაურებულ უნდა იქნას კონტრაქტის შეწყვეტიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

6.4 მოსამსახურე სრულად, მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების (მათ შორის, ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე. მოსამსახურე მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით.

6.5 მოსამსახურე პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავისი ბრალეული ქმედებით მიაყენა ფიზიკურ პირს ან/და სამინისტროს (იურიდიულ პირს) (მათ შორის, ამ ზიანის სასამართლოს მიერ სამინისტროსათვის დაკისრების შემთხვევაში).

5.1.7. ოფიცრის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, აღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ წერილობით შეატყობინოს ხელმძღვანელს, დათხოვნამდე არანაკლებ 2 თვით ადრე.

6.6 იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დააზიანებს ან დაკარგავს ან/და საქართველოს თავდაცვის ძალებიდან დათხოვნისას არ დააბრუნებს მასზე გადაცემულ ქონებას, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტს) ქონების საბალანსო ღირებულება. ჩვეულებრივი მოხმარების დროს ქონების მიერ განცდილი ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

6.7 ,,6.4, 6.5, 6.6" პუნქტებით განსაზღვრული ანაზღაურების ვალდებულება არ იზღუდება კონტრაქტის მოქმედების პერიოდით.

6.8 კონტრაქტი ვადამდე შეწყვეტილად ითვლება დათხოვნის ბრძანებაში მითითებული თარიღიდან.

6.9 მოსამსახურეს, ამ კონტრქტით განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობა შეიძლება დაექვითოს ანაზღაურებიდან. ამასთან, ანაზღაურების ყოველი გაცემისას, ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მოსამსახურის კუთვნილი ანაზღაურების 50% (ორმოცდაათ პროცენტს).

6.10 მოსამსახურის მიერ სამინისტროზე მიყენებული ზიანის თანხა თუ აღემატება წინამდებარე კონტრაქტით სამხედრო სამსახურის მთელი დარჩენილი პერიოდის მანძილზე მისაღები ანაზღაურების საერთო თანხას და აგრეთვე კონტრაქტის ,,6.2" პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, თანხების ანაზღაურება მოხდება, როგორც ანაზღაურებიდან დაქვითვით, ასევე მოსამსახურის ქონებაზე გადახდის მიქცევით.

6.11 კონტრაქტის შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებად განიხილება:

6.11.1 სამინისტროს, კონტრაქტის მოქმედების საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიმდინარეობის ნებისმიერ დროს, შეუძლია საკუთარი ინციატივით (ვადამდე, ცალმხრივად) შეწყვიტოს კონტრაქტი;

6.11.2 კონტრაქტის ვადის ამოწურვის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამსახურე თანახმაა გააგრძელოს სამხედრო სამსახური ახალი კონტრაქტის საფუძველზე.

6.11.3 მოსამსახურის სურვილით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული იმ მიზეზებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევს მოსამსახურის ვადამდე დათხოვნას მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

ამ კონტრაქტიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკებით დავის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში, დავას განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო.

მუხლი 8. სპეციფიური პირობა

8.1. სამხედრო სამსახურის გავლისა და სამსახურიდან დათხოვნის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსამსახურესთან მიმართებაში შეიძლება ცალმხრივად განისაზღვროს ამ კონტრაქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული პირობები, თუ ის არ აუარესებს მოსამსახურის მდგომარეობას.

8.3. მოსამსახურის მიერ მსმენელის სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში, სამინისტროს უფლება აქვს მოსამსახურეს გააგრძელებინოს სამხედრო სამსახური და დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში მასზე გავრცელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით რიგითის/კაპრალ/სერჟანტის იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც იმოქმედებს შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის დღეს, თუ იგი დაინიშნა რიგითის/კაპრალის/სერჟანტის თანამდებობაზე.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. მოსამსახურე ვალდებულია სამინისტროს მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით და ვადაში წარადგინოს სამინისტროში მის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია.

9.2. სამინისტრო უფლებამოსილია მისთვის მოსამსახურის ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ის, რაც არ არის დარეგულირებული ამ კონტრაქტით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. კონტრაქტის ცალკეული დებულების ბათილობა არ იწვევს კონტრაქტის დანარჩენი დებულებების ბათილობას. კონტრაქტის რომელიმე დებულების ბათილობის შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან შეცვალონ ბათილი დებულება ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ბათილი დებულების შინაარსს.

9.4. თუ ძალაში შევა ისეთი საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებთან დაკავშირებით საჭირო ხდება ამ კონტრაქტში ცვლილებების შეტანა, მხარეები მიმართავენ ყველა ძალისხმევას, რათა წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ ორმხრივად მისაღებ ცვლილებებზე.

9.5. კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

სამინისტრო:	**მოსამსახურე:**
_____	_____
_____	_____